გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 158

2023 წლის 8 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148) განთავსებული N1 (ფართობი: 4.54 კვ.მ) უძრავი ქონების (კომერციული დანიშნულების ობიექტის), პირობიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2023 წლის 01 მაისს (19/2023121182-08) შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ს/კ 66.45.18.148) მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე კომერციული დანიშნულების ობიექტის (მის: სტალინის და ჭავაჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი - მაღაზია - N1, ფართობი: 4.54 კვ.მ) სარგებლობის უფლებით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2022 წლის 18 ოქტომბრის N 370-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, ქ. გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩების კვეთაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელიდან (ს/კ 66.45.18.148, შენობის საერთო ფართი - 164.92 კვ.მ) N1 (ფართობი: 4.54 კვ.მ) კომერციული დანიშნულების ობიექტის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 6100 (ექვსი ათასასი) ლარით.

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის და ჭავჭავაძის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში ს/კ (66.45.18.148), N1 (ფართობი: 4.54 კვ.მ) კომერციული დანიშნულების ობიექტის, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის და ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148), N1 (ფართობი: 4.54 კვ.მ) კომერციული დანიშნულების ობიექტი გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით.
2. მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148), N1 კომერციული დანიშნულების ობიექტის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 6100 (ექვსი ათასასი) ლარით.
3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა N1 კომერციული დანიშნულების ობიექტზე განისაზვროს 720 (შვიდას ოცი) ლარით.
4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 1 (ერთი) წლის ვადით.
5.აუქციონის პირობად განისაზღვროს: გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე, მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148), N1 ქონება გაცემულ იყოს კომერციული დანიშნულებით (სავაჭრო ობიექტის მოსაწყობად). N1 ქონების მიმდებარედ განხორციელდეს მოვლა-პატრონობა (სანიტარული, ჰიგიენური ნორმების დაცვა). ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).
6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**